საგაზეთო ჩანართი
# ინტელექტი
ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა
№15 / 2015

# „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“

**საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განვითარების ხელშეწყობის, საზოგადოების ფართო ფენების ნების თავისუფალ გამოვლინებაზე დაფუძნებული თვითმმართველობის ორგანოების არჩევისა და მათი ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ განახორციელა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროექტი „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“.**


შეხვედრა მოსახლეობასთან

პროექტი მიზნად ისახავდა სამიზნე მუნიციპალიტეტების თემების მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას საარჩევნო კანონმდებლობის, საარჩევნო პროცედურების, თვითმმართველობის არსის, თვითმმართველობის ორგანოების არჩევის წესისა და ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით; თემების მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერებისა და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობას; სამიზნე მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური და მართვის შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობას.

პროექტის ფარგლებში აჭარის რეგიონის 62 თემში ჩატარდა საგანმანათლებლო კამპანია ამომრჩეველთა ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით; წინასაარჩევნოდ ტრენინგები ჩაუტარდათ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს; „ინტელექტის“ ინიციატივით კონკურენტი მაჟორიტარობის კანდიდატები ერთად წარსდგნენ ამომრჩეველთა წინაშე და თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას შეეცადნენ; „ინტელექტის“ მიერ პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ფარგლებში შემუშავდა და საკრებულოს წევრობის კანდიდატების მიერ ხელმოწერილი იქნა „კარგი მმართველობის დეკლარაცია“, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საკრებულოებს გადაეცა; ახლად არჩეულ საკრებულოს წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგები; „ინტელექტის“ ინიციატივითა და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ორგანიზებით მოეწყო მოსახლეობასთან შეხვედრები თემებში, სადაც მაჟორიტარები მოსახლეობის წინაშე ანგარიშით წარსდგნენ და ჩატარდა პრობლემების კვლევა; მომზადდა და საკრებულოებს წარედგინათ ინიციატივა საკრებულოს წევრის ყოველკვარტალური ანგარიშის მომზადების შესახებ, რომელიც შუახევის მუნიციპალიტეტში უკვე დაამტკიცეს (ხულოს, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტები უახლოეს სხდომაზე განიხილავენ და ვიმედოვნებთ, მსგავსად შუახევის მუნიციპალიტეტისა, დაამტკიცებენ); პროექტის ბოლო აქტივობაა კონკურსი – „საკრებულოს საუკეთესო წევრი.“

იმისათვის, რომ პროექტი „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ წარმატებით განხორციელებულიყო, „ინტელექტის“ გუნდი თავდაუზოგავად მუშაობდა. ლევან გობაძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე და პროექტ „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ დირექტორია. იგი პროექტის წარმატების საიდუმლოდ კომპლექსურობას მიიჩნევს: „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ იყო ძალზე წარმატებული. ის იყო მეორე, ასეთი შინაარსის პროექტი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ განახორციელა აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში. პირველი პროექტი განხორციელდა 2010-2011 წლებში, მეორე პროექტი – 2014-2015 წლებში და მოიცვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინა საარჩევნო და არჩევნების შემდგომ გარკვეული პერიოდები.

პროექტი „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის, რომელიც 2014-2015 წლებში განხორციელდა, ეყრდნობოდა პირველი პროექტის რეალიზაციის დროს მიღებულ გამოცდილებას. ამ პროექტში დამატებული იქნა ახალი კომპონენტები, რომლებმაც მნიშვნელოვნად აამაღლა მისი ეფექტურობა და შედეგიანობა. მისი წარმატების საიდუმლო პროექტის კომპლექსურობაშია. მან მოიცვა თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა კომპონენტი, რომელიც აუცილებელია ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოვლინებაზე დაფუძნებული თვითმმართველობის ორგანოების არჩევისათვის, თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობისათვის.

პირველი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც პროექტის დაწყების შემდეგ განხორციელდა, იყო საგანმანათლებლო კომპონენტი. ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ყველა თემში ჩატარდა საგანმანათლებლო შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრებზე განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: თვითმმართველობის არსი; როგორ აირჩევა თვითმმართველობა; საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო პროცესი; საკუთარი არჩევანისა და საკუთარი ხმების დაცვის მექანიზმები; თვითმმართველობის პროცესებში მონაწილეობის აუცილებლობა და თვითმმართველობის რეალიზაციის მექანიზმები არსებული კანონმდებლობის მიხედვით; საკრებულოს წევრის ფუნქციები; მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმარების დროს.

საგანმანათლებლო კამპანიამ მოიცვა თემებში არსებული ოჯახების 2/3.

მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელდა, იყო ტრენინგები საკრებულოს წევრობის კანდიდატებისათვის. ტრენინგებზე განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: თვითმმართველობის არსი, წინასაარჩევნო პროგრამების ფორმირების საფუძვლები, ამომრჩევლებთან კომუნიკაციის ტექნიკა.

ამავე ეტაპზე კავშირ „ინტელექტის“ მიერ შემუშავებული იქნა კარგი მმართველობის დეკლარაცია, რომელსაც საკრებულოს წევრობის კანდიდატების უმეტესი ნაწილი შეუერთდა.

არჩევნების დასრულების შემდეგ რეგიონის მუნიციპალიტეტების საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიების წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობის, მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმირებისა და რეალიზაციის საკითხებზე.

პროექტის რეალიზაციის ფინალურ ეტაპზე განხორციელდა საკრებულოების წევრების საქმიანობის მონიტორინგი, რამაც საშუალება მოგვცა დაგვენახა საკრებულოს წევრების საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი იქნა საკრებულოს საუკეთესო წევრები, რომლებსაც გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

პროექტის რეალიზაციის წარმატებული შედეგები, ასევე პროექტის რეალიზაციის პროცესებზე დაკვირვება, მიღებული შედეგები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება აუცილებელია თვითმმართველობის ყველა არჩევნების წინ. მხოლოდ განათლებულ, კარგად ინფორმირებულ ადამიანებს შეუძლიათ აირჩიონ რეალური თვითმმართველობა, ჩაერთონ თვითმმართველობის პროცესებში.“

„ინტელექტში“ პროექტით – „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ მარი პაპუნიძის, როგორც თემის მობილიზატორის დებიუტი შედგა: „ამ პროექტის საშუალებით მივიღე დიდი გამოცდილება, შევხვდი ბევრ საინტერესო ადამიანს. რაც მთავარია ბოლომდე გავიაზრე ჩემი, როგორც მოქალაქის როლი უფლება-ვალდებულებების სისტემაში. ვისურვებდი, შეიცვალოს საზოგადოების ნაწილის ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება და იმის განცდა, რომ მას არავინ არაფერს არ ეკითხება და რომ მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა ვერ იქნება რეალურად დემოკრატიული, თუ ის არ იქნება საზოგადოების მაქსიმალურ თანამონაწილეობაზე აგებული და მოსახლეობამ ერთობლივი ძალისხმევით უნდა მიაღწიოს სახელმწიფოსგან რეალურ და არა ფასადურ ცვლილებას. „ინტელექტს“ მინდა ვუსურვო, უცვლელი სულისკვეთებით განეხორციელებინოს მსგავსი პროექტები აჭარის რეგიონის განვითარებისთვის და მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც პატარა წვლილი მაინც შეიტანა ამ პროექტის წარმატებით განხორციელებაში.“

პროექტს დადებითად აფასებენ საკრებულოს წევრებიც.

ელგუჯა გოგმაჩაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: „ძალიან საჭირო და კარგი პროექტი განახორციელეთ. პირადად მე თქვენთან ურთიერთობით ბევრი რამ ვისწავლე და ვცდილობ პრაქტიკაში გამოვიყენო. ვიმედოვნებ სამომავლოდ კიდევ გექნებათ პროექტები მუნიციპალიტეტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით და თუ საშუალება მომეცემა, სიამოვნებით ვითანამშრომლებ.“

აბდი ბერიძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: „ინტელექტმა“ საშუალება მოგვცა ახლად არჩეულ დეპუტატებს პრაქტიკულად გაგვევლო ტრენინგებზე ის საკითხები, რისი კეთებაც რეალურად გვიხდება საკრებულოში. ახლა პირველ ნაბიჯებს ვდგამთ და ვსწავლობთ იმათგან, ვისაც უფრო მეტი გამოცდილება აქვს. საბოლოოდ ჩვენ მიერ გაკეთებულ საქმეს მოსახლეობა შეაფასებს. დიდი მადლობა „ინტელექტს,“ რომ თავისი პროექტი მაქსიმალურად მოარგო პრაქტიკას და ძალიან ნაყოფიერი თანამშრომლობა შედგა არასამთავრობოსა და საკრებულოებს შორის.“

რომან ბედინაძე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: „ძალიან სასიამოვნო და შედეგზე ორიენტირებული იყო „ინტელექტის“ მიერ განხორციელებული პროექტი „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის.“ განსაკუთრებით გამოვყოფდი ტრენინგებს, რომლებიც საკრებულოს წევრებისათვის ჩაატარა. ამ ტრენინგებმა დიდი პრაქტიკული გამოცდილება მომცა, რასაც წარმატებით ვიყენებ საკრებულოს საქმიანობაში. სამომავლოდ დიდ წარმატებებს ვუსურვებ ამ ორგანიზაციას და პროექტებს, რომლებიც მიმართული იქნება მუნიციპალიტეტების განვითარებისაკენ.“

არმაზ ბახტაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: „ინტელექტის“ მიერ განხორციელებული პროექტი ძალიან ეფექტური იყო. ყველა კომპონენტი, რაც მუნიციპალიტეტსა და საკრებულოს წევრებზე იყო გათვლილი, ვფიქრობ წარმატებით განხორციელდა. საკმაოდ ბევრი ვისწავლეთ თქვენ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე და თქვენი ხელშეწყობით მოსახლეობამაც მიიღო ინფორმაცია მისთვის საჭირო და მნიშვნელოვან საკითხებზე.“

მალხაზ კოჩალიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: „მიხარია და მეამაყება, რომ საშუალება მომეცა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტთან მეთანამშრომლა და მისი გამოცდილება გამომეყენებინა. განსაკუთრებით უნდა გამოვყო ერთობლივი შეხვედრები მოსახლეობასთან. პრობლემების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც „ინტელექტმა“ გვირჩია, ძალიან ეფექტური აღმოჩნდა. ვისურვებდი კიდევ ბევრი პროექტი განეხორციელებინოს მუნიციპალიტეტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.“

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.
ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე
მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13; ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge; ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge